შთაგონებით ალექსანდრე ბატონიშვილმა, რომლის უკან დარეჯანის შვილის შეიღლი, იმერეთის მეფე, სოლომონ მეორე იდგა. ალექსანდრე ომარ-ხანის და სხვა ანტი - რუსულ ძალთა დახმარებით კახეთში შეიჭრა და გიორგის და რუსთ ძილი დაუფრთხო. მთელის ძალებით ექვერა რუსის ჯარი ომარ-ხანის და ალექსანდრე ბატონიშვილის რაზმებს და ნაიარუასთან დიდი ბრძოლა გაჩაღდა, და გენერალ ლაზარევმა და გულიაკოვმა იმავ ითანა ბატონიშვილის დახმარებით რუსეთს და გიორგის 7—11—1800 წ. კვლავ ვამარჯვება არგუნეს. დედოფალ დარეჯანს კვლავ გაუცრუვდა იმედები, რუსეთმა მყვიდრად მოიკიდა ფეხი საქართველოში. ეხლა არც პავლეს და არც მის მემკვიდრე ალექსანდრე პირველს ჯარის გამოსაგზავნად თხოვნები და ვედრებანი აღარ სჭიროდათ! ბათალიონებით, ყაზახთა რაზმებით და არტილერიით გაიცსო საქართველო.

საუბედუროდ, დედოფალ დარეჯანის იჭვები გადაჭირდებით გამართლდა. ერეკლეს სიკვდილმა რუსეთის ფარულ პოლიტიკას ნილაბი ახადა და გიორგი მეფეს სუვერენიტეტის მთავარ ნაწილზე ადვილად ხელი ააღებინეს; მომაკვდავ და უძლურ მეფეს საცხებით ჩამოაშორეს დედოფალი დარეჯანი და მრჩეველად რუსულ - სომხური ლენერალი მიუჩინეს.

ეხლა ლეკებისა და გამდგარ ბატონიშვილების შიშით გიორგი მეფე საცხებით რუსეთს მიენდო; ის გულწრფელად ფიქრობდა, რომ სამეფოს ფუნქციების მეტ დათმობით რუსეთის მტკიცე მფარველობას მიიღებდა. გულისტკივილით ადევნებდნენ თვალყურს დარეჯანი და მისი მომხრები მეფის ცდას „საქართველოს მიღებისათვის რუსეთის“ მიერ... მათ იცოდნენ, რომ გიორგის „თხოვნითი პუნქტები“ დიდი ნაბიჯი იყო საქართველოს სამეფოს გაუქმებისაკენ გადადგმულ, და რომ მომავალში რუსეთი შემდეგ ნაბიჯს თვითონვე ადგილად გადასდგამდა და ამ უძველეს სამეფოს, რუსეთის „ლუბერნიად“ იქცევდ. საუბედუროდ, ყველაფერი ასე მოხდა...

მეფე გიორგი 28 დეკემბერს 1800 წ. მიიცვალა და სამეფოს გადარჩენის იმედებიც თან წაიღო. ეხლა რუსეთი არა ერიდებოდა და სამეფო ტახტის ერთბაშად გაუქმება სწადდა. მემკვიდრე დავითს მხოლოდ „მიახლოების“ უფლება დარჩა ამ ტახტან...

სამეფოს ერთგულთა (სოლომონ ლეონიძის, სარდალ ორბელიანის, ალ. მაყაშვილის და სხვათა) დაუქინებითი ჩხოვნას, რომ სასწრაფოდ მეფედ კურთხეულიყო, დავითმა ყურა ას ათხოვა. იგი კვლავ რუსეთზე იყო მინდობილი და იქდან ელოდა დამტკიცებასა და ინვესტიტურებს; უფრო მცტაც, მან საჭიროდ დაინახა ეს ერთგული მრჩეველი ლაზარევისათვის ხელში მიეცა. და ლაზარევმა სოლომონ ლეონიძე დააპატიმრა.

მემკვიდრეს ეს ლოცუზიები უფრო გააძლიერა გენ. კნორჩინგის საქართველოში წარმოგზავნამ, რომელსაც ცნობილი კითხვების გამორკვევა ჰქონდა. ალექსანდ

პირველისაგან დავალებული: 1. შეუძლია თუ არა საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა და 2. მართლა ყველას სურვილი იყო რუსეთთან შეერთება?

ზოგი ქართველი კეთილშობილი აშენებულერენდუ-მით“ საქმის მოგებასაც ფიქრობდა და მისთვის პასუხი საეჭვო არ უნდა ყოფილიყო... ორი ათას წელზე მეტი იცხოვრა საქართველომ საკუთარის სახელმწიფოებრივის ცხოვრებით და აბა ვინ იტყოდა, რომ მან ერთბაზად დაჰკარგა ამისი უნარი? „მართალია“, ამბობდნენ ისისნი, „ერეკლე აღარა გვყავს, მაგრამ ქართული მხედრობა და სული ხომ ძველებური დარჩა... ვინ გაბედავს და ეტყვის კნორჩინგს, რომ ყველას სურდეს რუსეთის ქვეშევრდომობა და თორმეტ საუკუნეზე მეტ მანძილზე სახელოვნად განვლილი გზა ბაგრატიონთა ჩაქლილი იქმნასო? განა ყველა სულმოკლე და ან მოლალტე?... — ასე მსჯელობდნენ საქართველოს ზოგი მამულიშვილები და ასე ფიქრობდა მაშინ დავით ბატონიშვილიც. მაგრამ ასე არ ფიქრობდა დარეჯან დედოფალი, რომელსაც რუსის არც ლიბერალის და არც რეაქციონერის არაფერი სწამდა და იცოდა, რომ კნორჩინგის „პასუხი“ ზუბოვ - ორლოვებისა და სახელმწიფო საბჭოს მიერ წინასწარ იყო პეტერბურგში გამზადებული... და ეს პასუხი ისეთი უნდა ყოფილიყო, რომელიც საქართველოს რუსეთის პროვინციად იქცევდა, ხოლო გენერალ კნორჩინგს კი მის მთავარმართებლად.

ამიტომ ამ დაეჭვებულმა დედოფალმა ჯერ კიდევ დროზე გაგზავნა მოხსენება პეტერბურგში, რომელიც 3 იქნის შეტანილ იქმნა სახელმწიფო საბჭოში.

დედოფალი თავის მიმართვაში დარბაისრულის ლირსებით ითხოვს მოპირდაპირესაგან ერთხელ დადებულ ხელშეკრულების ასრულებას: ის ხელახლა 1783 წლის ტრაქტატს ემყარება, თითქოს მის შემდეგ პავლეპირველის შეერთების მანიფესტი არც კი გამოცხადებულიყოს. დარეჯანი ძველის, ერეკლეს საქართველოს ენით ლაპარაკობს და მოითხოვს საქართველოს მთავრობის და მართველობის საკითხი ურყევლად დაეტოვებინათ ტრაქტატის „მტკიცე საფუძვლის თანახმად“. (იხ. ზ. ავალიშვილის, „პრისოედინენე“). ზუბოვის მომხრენი ყალყზედ დაღვნენ და სახელმწიფოს საბჭოს დედოფალ დარეჯანის მოხსენების განხილვა კნორჩინგის დაბრუნებამდე გადაადებინეს. ხოლო 26 — 6 კნორჩინგის დასკვნები უკვე გადაეცა ხელმწიფეს, და ჩვენ ვიცით, როგორი იყო ის მოხსენება. მაგრამ კნორჩინგმაც კი ვერ იპოვნა იმდენი გამბედაობა, რომ მეორე კითხვაზე გადაჭრით „პო“ ეთქვა და სამეფოს რუსეთთან შეერთების საერთო წალილი კნორჩინგის მოხსენებაში ერებ გამოჩნდა. მაგრამ ეს „დაიჭვება“ იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ ამან შექმნილი მდგომარეობა ველარ შეარყია და სახელმწიფო საბჭოს სხდომამ 8 აგვისტოს 1801 წელს კნორჩინგის დასკვნები დაადასტურა და ამით საქართველოს საკითხი უარყოფითად გადასწყვიტა.

ამის შემდეგ დედოფალ დარეჯანის ცნობილი მო-

ხსენება სიმწვავეს ჰქარგავს და ის არქივს გადაეცემა. რა მოხდა „შემდეგ?“ კნორრინგი მთავარმრთებელი გახდა, მაგრამ ვერც მან და ვერც კოვალენსკიმ ვერ შესძლება ქვეყნისათვის საქართველოს გაბედნიერების სურათი დაენახებინათ... საქართველოს ახალი ყოფა როგორლაც არა. ზგავდა ბედნიერებით დათრობას, რუსეთის ძლიერ კალთის ქვეშ. ერთი წელიც კი არ დააცადება კნორრინგს და კოვალენსკის, რომ მშეიღობანი მართველობა ეხილათ.

1802 წლის შეთქმულებამ პეტერბურგი ძალზე ჩააფიქრა და ეხლა ყველასათვის აშეარა გახდა, რომ დავითის ტახტთან „არ - მიშვებით“ არც საქართველოს დამოუკიდებლობისა და არც დინასტიის საკითხი არა სწყდებოდა... უკამაყოფილება იზრდებოდა. სპარსეთის ხალმა მმართველმა, ბაბა-ხანმა საქართველო ისევ სუკერენულ სახელმწიფოდ სცნო და მის მეფედ დარეჯანის უფროსი შვილი, იულონი გამოაცხადა; ხოლო ოლექსანდრე ბატონიშვილი იქედან შემოტევას ამზადებდა იულონის ტახტზე ასაყვანად ბატონიშვილი ვახტანგი დარიალთან იდგა და მამაცური შეტევისათვის ემზადებოდა, რათა რუსეთისათვის „საკომუნიკაციო“ გზა მოეჭრა; არც ლეკებისა და მთიულებისაგან მოდიოდა სანუგეშო ამბები.

საქართველოში იწყებოდა ცნობილი 1802 წლის აღრევა, და ყველა ამბების ძაფები დედოფალ დარეჯანს ხელთ ეყრდნობა, მისი ქალების, თეკლა და ქეთევანის დახმარება - მონაწილეობით... რუსეთმა 1802 წლის შეთქმულება ჩვეულებრივის სისასტიკით ჩააქრო; ის იქმდის მივიდა, რომ ბოდბელი მიტროპოლიტიც კი დააპატირა და ქართველ ხალხს მკაცრი გაფრთხილება მისცა. ამით მან კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებას აღარა სცნობდა და დარეჯან დედოფლის და მისს მომხრეთა ცდა ერეკლეს ტრაქტატზე დაყრდნობისათვის, მას აჯანყებად მიაჩნდა.

საქართველო მაინც არ სცხრებოდა და მოწინავე ქართველობა ბაგრატიონების ირგვლივ ირაზმებოდა. ეხლა აქ პარტიები აღარ იყო და სამეფოს გადასარჩენად ყველამ დარეჯანის ირგვლივ თავი მოიყარა. ეს დედოფული კი ტახტის აღდგენას და ხელმწიფის ახალ მანიფესტის გაუქმებას მოითხოვდა, და მისთვის ეხლა სულ ერთი იყო — ვინ იქნებოდა ამ ტახტზე აყვანილი.

ალექსანდრე პირველის მიერ კნორრინგის ხელით უკანასკნელი იმედების მოსპობის შემდეგ, მის შემდეგ, არც, დავითის თქმით, რუსეთმა საქართველოს ბედი „<sup>4</sup> პლუტა და 1 დურაქს ჩააბარა“, ბატონიშვილთა ორივე ფრთა (დავითისა და იულონის) სამეფოს გადასარჩენად გაერთიანდა.

ლაზარევი გახდა თავჯდომარე „დროებითი მმართველობისა“ და მან ყველას ერთხაირად უწყალდ დეკნა დაუწყო; მან სამეფო ფუნქციათა ნაშთების აღმოგებრას მიჰყო ხელი, რასაც ბაგრატიონთა გადასახლება

უნდა მოჰყოლოდა. აი, ეხლა იყო ერთობა და სიმტკიცე საჭირო ისე, როგორც არასდროს...

დავითმა რუსის ღენერალის მუნდირი პეტერბურგის უკან დაუბრუნა და განმდგარ ბატონიშვილთ, იულონის მომხრეთ, შეუერთდა... „ეხლა ყველმ ერთად დაიფრცეს — ყველი ღონით ეცადონ შეინარჩუნონ სამეფო ხარისხი ბაგრატიონთა ოჯახში. ყოფილი მტრები და ეხლა კი მეგობრები, შეთანხმდნენ, რათა აიყანონ მეფედ ის, ვისაც დანიშნავს და აირჩევს დედოფალი დარეჯან... და ყველანი ერთად სთხოვენ მეზობელ ხანებს საქმეში დახმარებასონ ბატონიშვილი ალექსანდრეც შეუერთდა დანარჩენებს და დედოფალი დარეჯანის მეშვეობით მათ სპარსეთის მხრივ ახალ იმედებზე სწერდა: — „ამნაირად, დედოფალი დარეჯანი გახდა ის ცენტრა, რომლის ირგვლივ ბრუნავდა ყველა ეს „ინტრიგები“-ო; „დედოფალი დარია“, სწერდა ლაზარევი კნორრინგს, „რომელსაც აქეს უდიდესი გავლენა თვისი წინანდელი სამეფო საქმეებთან დაახლოებისა გამო, მთელს აქაურ მანქანას მართავს; ის, ვით დედოფალი, ერთგულთ წყალობებს პპირდება, და ითხოვს დახმარებას, როგორც ქართვლთაგან, ისე სამეფოს გარეშე ძალთაგან (მეზობელთაგან) და სხვა“... ყველა ამათ გვერდში უდგანან პეტერბურგის ქართველები და გარსევან ჭავჭავაძე.

ამის შემდეგ დედოფალი დარეჯანი და ყველა ბატონიშელები (დავითიც) უგზავნიან „შეთანხმების ბარათს“ ბაბა - ხანს და ალექსანდრე ბატონიშვილის შემწეობით სთხოვენ მას: სცნას მეფედ საქართველოსა იულონი. და დაეხმაროს მათ ჯარებით რუსთა განსაღევნად; „ეხლა მთელი ხალხიც ამათ აჲყვა“-ო, სწერს ისტორიკის დუბროვინი. „მრავალი თავადთაგანი მხლებლებით გადასახლდნენ ალექსანდრე ბატონიშვილთან, კახელნი გადგნენ და ახალ წესს და სამართალს არ ემორჩილებოდნენ, ქართლის თათრობა გაიხიზნა და აყრით იმუქრებოდა; თბილისის გაჭრობა გაჩერდა, გადასახადს აღარ იხდიდნენ, დუქნები დაპკეტეს “და სხვა. „მოკლედ“-ო, სწერს საგანგებოდ წარგზავნილი რუსის მოხელე ლოცვიცე, „ეხლა უკვე ყველანი უკამაყოფილონი არიან, ისე, როგორც წინად მომხრენი იყვნენ“-ო.

„დედოფალი მარიამიც ეხლა ხშირადაა დარიასთან“-ო; „თბილისი ერთიანად არეულობამ მოიცავა“-ო, სწერდა ამ დროს ლაზარევი პეტერბურგს, „ალექსანდრე ბატონიშვილი, მისი ერთგულებით და მოქავშირე ხანგი სცდილობს წამოვიდეს საქართველოზე პირ - კული-ხანი 10.000 კაცით ეპირება ბელაქანისაკენ, საიდანაც ლეკების დახმარებით უნდა კახეთში შემოიჭრეს, რადგან სწორედ ეხლა მიიღო ალექსანდრე ბატონიშვილმა დარიას ბრძანება: „დააჩქაროს შემოტევა“-ო, რადგან მისი ცნობებით, რუსთა ჯარი საქართველოში ეხლა მცირეა, კახეთში შეთქმულნი მზად არიან და მათ ელოდებიან“-ო.

აი, რა ზომამდე გაიზარდა ამ დროს დედოფალი დარეჯანის გავლენა.

ბაგრატიონთა შორის უთანხმოების მოსპობაშ რუსეთი დიდ საგონებელს მისცა. მას მთელი გეგმები ერკვეოდა და საჭირო იყო ამ დიდი ქართული მოძრაობისათვის თავი მოეკვეთათ. დედოფალი დარეჯანი და ბაგრატიონები საჩაროდ საქართველოს უნდა მოშორებოდენ... ხელმწიფე მათ რუსეთში გადასახლებას ითხოვდა და საქვეყნოდა ამას „სადარბაზოდ მიწვევის“ არქმევდა...

მაგრამ დარეჯან დედოფლის სასტიკი წინააღმდეგობის გამო, კნორრინგმა და კოვალენსკიმ რუსეთისა და პირადად ალექსანდრე პირველის ეს დავალება ვერ შეასრულეს; დარეჯანის რუსეთში იმპერატორთან „სტუმრად მიბრძანების“ საქმე ვერ გაჩარჩეს, თუმცა ბევრ - ნაირის მომხიბლაობით იყო გამოცხადებული ეს „მიპატიუება პეტერბურგის სასახლეში და ხელმწიფის ალქმული უდიდესი წყალობანი“, მაგრამ დედოფალი არ ჩქაროდა; თვეს თვეს ამატებდა და ათას რასმეს იმიზეზებდა. მაგრამ სწორედ ეხლა ჩქარობდნენ მისი შიკრიკები ალექსანდრე ბატონიშვილთას და იმერეთში, სოლომონ მეფესთან. ჩქარობდნენ ახალ გამოსკლათათვის იულონი, ფარნაოზ, ვახტანგ და სხვა ბატონიშვილები, და ეს ამბები პეტერბურგს მოსვენებას არ აძლევდა, — მათი მოვლა ძნელი გამხდარიყო. მაგრამ რუსეთმა ბოლოს წამალიც გამოსძებნა და ციციანოვი მიიწვია.

8 სექტემბერს 1802 წელს პეტერბურგში ღენერალ ციციანოვს ალექსანდრემ საკუთრივ უმაღლესი „რესკრიპტი“ გადასცა, რომლითაც აუწყა, რომ კნორრინგი და კოვალენსკი გადაყენებულ იქმნენ და მათ მიერ ჩადენილი შეცდომების გამოსწორება ეხლა ამ მამაც დენერალს მართებდა.

ამ „რესკრიპტში“ საიდუმლო დავალებები იყო ჩამოთვლილი და მათ შორის თვალსაჩინო ადგილი ეჭირა: დედოფალ დარეჯანის რუსეთში სასწავლოდ „მიპატიუებას“. ხოლო 21 ნოემბერს ხელმწიფემ სპეციალური ბარათიც გადასცა ციციანოვს დედოფალ დარეჯანისათვის. აქ უცნაურის თავმდაბლობით და მოკრძალებით ეპატიუება იგი დედოფალს. და მის ქალიშვილებს პეტერბურგში და იჩქარის მათ პირადად ხილვას, რათა თავისი პატივისცემა და ყურადღება დაუმტკიცოს. (აქტები, ტ. 2).

მაგრამ რუსეთისათვის ასე მხნე და თავდადებულ ციციანოვსაც, რომელიც სწრაფ და უწყალო ხელით ანადგურებდა ყველაფერს ქართულს, თითქმის ერთი წელიწადი დაჭირდა, ვედრება და მუქარა, ვიდრე დედოფალ დარეჯანს პეტერბურგისაკენ პირს აქნევინებდა...

მაგრამ, დედოფალი დარეჯანის შეინარჩულის, ისტორიკოს ალექსანდრე ორბელიანისა არ იყოს: „ეს ამბავი ახლა აქ მოკლედ ითქმის, თორემ ისე დიდა!“ და აშკარაა, ბევრი უძილო დამეტები გაატარებინა ამ ერთი წლის განმავლობაში დედოფალმა უტეხ და ჯიუტ ღვერალ ციციანოვს; ვერ იქმნა, ვერ გამოიყვანა ეს ზვია-

დი ადამიანი დედოფლურის ღირსეული დარბაზლობიდან.

ციციანოვს ჯერ ისევ პეტერბურგში აუწყეს, რომ დედოფალს თვითონვე გამოეთქვა სურვილი ალექსანდრე პირველის ხილვისა; ამიტომ საქართველოში ჩასვლის წინ ციციანოვი „კვეკასის ხაზზე“ გაჩერდა და 27—12—1802 წ. აქედან კოვალენსკის მისწერა: „გიგზავნით ხელმწიფის და თან ჩემს პირად წერილებს დარიასთან და სთხოვეთ — დააჩქაროს ჩამოსკლათ; მას თვითონ განუცხადებია სურვილი ხელმწიფის ნახვია და თან სურს წამოიყვანოს ასულნი: თეკლა და ქეთევანიო. ცარებლობთ ამით, და ვიჩქარით აუსრულოთ ეს წალიო. ეს წერილი პირადად გადაეცით და თვითონაც ეცადეთ დაარწმუნოთო... ჩამოვიდეს აქ „ლინიაზე“, სადაც მე შეეჩერდი მხოლოდ იმისათვის, რათა ავასრულო ხელმწიფის ნება რარიას საჩქაროდ გამგზავრების შესახებო. მე მსურს — თვითონ გავისტუმრო აქედან პეტერბურგისაკენ. ფული რაც საჭირო იქმნეს, არ დაზოგოთ, მიეცით“.

მეორე დღეს, 28—12, ციციანოვი მინისტრს კოჩუბეის სწერდა, რომ გაუგზავნა კოვალენსკის წერილები და დავალება და უცდის „ლინიაზე“ ბასუს კიდევ 12 დღე; თუ უარი მომივიდა, მაშინვე გავსწევ, რომ პირდაპირ მიმიღო ზომა, რათა მოვაშორო დარია იქაურობასო, სადაც მისი ყოფნა „სტოლ მნოგო ნარონი ული კოლებლეტ“ მაგრამ, განაგრძობს იგი, მე პირადად არა მჯერა დედოფლის გულწრფელი განზრახვისა რუსეთში წასაკლელადო. „წინააღმდევ, ვფიქრობ, რომ მან ეს განგებ მოიგონა, რათა გაფანტოს იჭები მისი მონაწილეობის შესახებ იმ აღრევაში, რასაც იქ შარშან ზაფხულზე ადგილი ჰქონდა. ამავე დროს დედოფალი უცდის ალექსანდრე ბატონიშვილის ჩამოსკლას განჯაში და იქიდან ჭარში, არეულობს მოსახლენადო“. ამასთან გენ. ციციანოვი სწერს, რომ ლაზარევი მას ატყობინებს, რომ დარიას აქვს საიდუმლო კავშირი ალექსანდრე ბატონიშვილთან, და რომ ამ უამაღ ხელახლა მიუღია მისგან წერილი, სადაც აუწყებს, რომ საქართველოსაკენ ჯარებით მოღის. და თუ ცოცხალი დარჩა, საქართველოს სამეფოს აღადგენს, ხოლო თუ ის მოჰკლეს, მაშინ დარეჯანმა დაივიწყოს, რომ მას და მეფე ერეკლეს ჰყავდათ შვილი, ალექსანდრეო...

გენ. ციციანოვის ცდას დედოფლის „ლინიაზე“ მიპატიუებისათვის, რასაკვირველია, არავითარი ნაყოფი არ გამოსულია და ამ პირველ მარცხებ მან შესაფერი მოხსენება აფრინა პეტერბურგს. 10—1—1803 წ. ციციანოვი ხელმწიფეს სწერს, რომ „დარეჯანმა უარი განაცხადა წამოსკლაზე, თითქმის ავადმყოფობის გამოონ და მე ეხლავ მივემგზავრები, რათა თქვენი ბრძანება, მისი ძალად გადმოსახლების შესახებ შესრულებულ ვყო“—ო. იმავე დღეს ის უფრო დაწერილებით მოახსენებს მინისტრს კოჩუბეის, რომ მისი იქვები გამართლდა; რომ დარიას თხოვნა რუსეთში წასვლაზე უბრალო ფარდა იყო; ამით მას სწადია დაფაროს მისი თანაგრძნობა საქართველოში წარმოებულ

არეულობათადმი, რომელთაც განსაკუთრებით თვით დე-  
ლიფალი დღესაც აღვივებას. „აი, ეს მაიძულებს ეხლავ  
ძალად გადმოვასახლო ის და მასთან მთელი სამეფო ოჯა-  
ხი“ და სხვა. (იხ. აქტები, 2.).

მართლაც, გადაჭარბებული არ გამოდგა ციციანო-  
ვის „სიფრთხილე“ და ის მალე დარწმუნდა, რომ დედო-  
ფალს კიდევ აქვს მრავალი უხილავი ქსელები გაბმული  
და ჯერ კიდევ ბევრი მოიძებნებიან საქართველოსა და  
ტახტის აღდგენისათვის თავდადებულნი...

გენ. ციციანოვს ხელთ ჩაუვარდა წერილები დედო-  
ფლისადმი, რომელსაც აღექსანდრე და თემურაზ ბატო-  
ნიშვილები, თვითონ ციციანოვის მიერ რამდენჯერმე  
გაგზავნილ აზნაურ ზაქარია ჯორაშვილს ატანდნენ, სხვა  
ოფიციალურ მიწერ-მოწერათა გარეშე. მთავარმართე-  
ბელი მიხვდა, თუ რა სასაცილოდ მთატყუეს ის და რო-  
გორ მშვენივრად სარგებლობდნენ დედოფალი და ბატო-  
ნიშვილები ციციანოვის შიკრიკით, რომელსაც ვითომდა  
თავს ედვა ალექსანდრე ბატონიშვილის რუსებისაკენ  
გადაბირება და მისთვის ციციანოვის მოწოდებათა გადა-  
ცემს. ამას მოჰყვა ხანგრძლივი მიწერ-მოწერა ალექსან-  
დრე და თემურაზ ბატონიშვილთან მათი „გადმობირე-  
ბის“ პირობების შესახებ და ზ. ჯორაშვილიც ახალი ს-  
დავალებებით რამდენჯერმე ჩავიდა სპარსეთს.

აი, ამ შიკრიკის საშუალებით გაცხოველდა განიზ-  
ნულ ბატონიშვილების მიწერ-მოწერა დარეჯან დედო-  
ფალთან; ბოლოს, ჯორაშვილმა სპარსეთიდან ოთხი საი-  
დუმლო წერილი ჩამოიტანა დედოფალ დარეჯანისათვის; მეტის სიფრთხილისათვის, მან ეს საყურადღებო წერილე-  
ბი ჯერ ქალაქ გორში დასტოვა თემურაზ ბატონიშვი-  
ლის მეუღლე ელენესთან; უკანასკნელმა კი ეს წერილები  
ანდო როსტომ ბაგრატიონს, დედოფალ დარეჯანისათ-  
ვის გასაცემად, მუხრანში. აი, ეს წერილები უპრენეს რო-  
სტომ ბაგრატიონს და ყოველივე გამომეღლავნდა... დამა-  
სასიათებელია დარეჯანის ერთგულთა სიამაყე და ქედ-  
მაღლობა რუსთა მიშართ. როცა რუსებმა ამ როსტომს  
დაკვითხეს და პირადობის სამუთებიც მოასხოვეს, მან მი-  
უგო, რომ ის როსტომ ბაგრატიონი გახლავთ და არავი-  
თარ „დოკუმენტებს“ არ ატარებს, რადგან ბაგრატიონთ  
თორმეტი საუკუნის სახელოვანი ისტორია აქვთ, ხოლო  
ის თვითონ მხოლოდ 35 წლისა არის (აქტები, 2).

გენ. ციციანოვი მხევდა, თუ რა საშინლად ატყუი-  
ლებდა მას და ათამაშებდა დარეჯან დედოფალი, რა მო-  
ხერხებულად აგზავნინებდა ბატონიშვილებთან შიკრიკს,  
ვითომდა შესარტებულად და ნამდვილად კი... ამ მარცხის  
დამსახურა გენერალმა ვერ გაბედა და შინაგან საქმეთა მი-  
ნისტრს კოჩუბეის წინაშე 5—10—1803 წ. ახდილად აღი-  
არა — თუ რა მოხერხებულად მთატყუა იგი დარეჯან  
დედოფალმა, და რომ ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, დე-  
ლიფალის ნდობა არავითარ შემთხვევაში აღარ შეიძლე-  
ბოდა. ციციანოვი სწერდა, რომ საქართველოში ჩამოს-  
ულისათავე მან მოახერხა ორი ბატონიშვილის გადასა-  
ხლება, რასაც გაზაფხულის დასაწყისსავე მოჰყვა „გადა-

სახლება ღვთისაგან წყეულის“ დედოფალ მარიმისა.  
რაც შეეხება დარეჯანს, იძულებული ვიყავ მისი გარდა-  
სახლება შემოღვიმადე გადამედო, „წყლუფლუ გამო“,  
რაიც ჩემის თვალითვე ვნახეთ, რადგან მის ფრი მჯე-  
როდა. აქვე ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ციციანო-  
ვის აღრინდელი მოხსენება მინისტრისაღმი (11—4—1803  
წ.) დედოფლის ავადმყოფობის შესახებ... „ბატონიშვილ  
დავითის და ვახტანგის გადასახლებამ“, სწერს გენ. ციცი-  
ანოვი, „გამოწვია დედოფალში ახალი მწუხარებანი,  
რაიც ძველს ზედ დაერთო და ამან გააძლიერა მასში ავ-  
ადმყოფობის შემოტევანი, გაუხშირდა გულის წასვლა და  
მთელს სხეულზე სიმისვნე მოედო. ვიცოდი რა თ ვიდა-  
ნვე დედოფლის ეშმაკიბა და ფანდები სხვა და სხვა სა-  
ბაბთა გამოსაძებნად, რათა რუსეთში გამგზავრების დრო  
გაეხანგრძლივებინა, მე არა მწამდა მისი ავადმყოფობისა,  
ვიღრე ამს თვით არ შევამოწმებდი... და ეს მოხდა ამ  
დღეებში, როცა მე მას, ვითომდა თავიზიანობის დასამტ-  
კიცებლად, აღდგომის მისალოცად ვეახელ .ამ დარბაზო-  
ბამ მართლაც დამარწმუნა მის ავადმყოფობაში და იძუ-  
ლებული გავხდი მისი გამომგზავრება გადამდო.

აი, ამის შემდეგ გენერალმა დარეჯანს იძულებით  
ნება დართო, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, სამკურნალოდ  
მუხრანში გადასახ ლებულიყო მაგრამ ფრთხილმა გენ.  
ციციანოვმა დედოფალს მუხრანშიც ჯაშუში მიუყენა.

დაუბრუნდეთ ციციანოვის მარცხს ზაქარის ჯორა-  
შვილის მიერ ჩამოტანილ დედოფლის საიდუმლო წერი-  
ლის გამო. ციციანოვი მინისტრს აუწყებდა, რომ მან ჯო-  
რაშვილის საშუალებით მიწერ-მოწერა გამართა სპარ-  
სეთში გახიზულ ბატონიშვილებთან და ჯორაშვილს წე-  
რილებთან ერთად ფულიც გადასცა. მაგრამ ყოველ შემ-  
თვევისათვის ამ ჯორაშვილსაც ჯაშუში მივუჩინე და  
ბოლოს გამოირკვა, რომ ჩემი წერილები მხოლოდ ნი-  
ლაბი ყოფილან; მის იქით იფარებოდა გაცხოველებული  
მიწერ-მოწერა დედოფალ დარეჯანისა და ბატონიშვილ  
ალექსანდრეს შორის. იმ ოთხი წერილიდან, რომელიც  
დარეჯანს უნდა მიეღო, ჩენებ სრულიად დაგრწმუნდით  
სიძულვილში, რასაც რუსეთისაღმი ატარებენ ალექსან-  
დრე ბატონიშვილი და მისი მშობელი დედა... ეს წერი-  
ლები რომ დარეჯანს მართლა მიეღო, ვინ იცის, რით გა-  
თვდებოდა ეს წამოწყებაო... აი, გარემოება, რაიც მაი-  
ძულებს ეს „ფესვები“ არეულობათა საესებით ამოვაგ-  
დო“-ო. (იხ. წერილი ციციანოვისა 5—10—1803 წ. აქ-  
ტები, 2.).

ყველაზე უფრო ჩამაფიქრებელი რუსეთისა და ცი-  
ციანოვისათვის იყო ეს წერილები, რომლითაც ბატონი-  
შვილები დედოფალ დარეჯანს ატყობინებდნენ: — „ნუ  
დარდობთ, ჩენებ საქმე, ღვთის შეწევნით, თქვენად გუ-  
ნებად მოვა“-ო...

თუმცა ეს წერილი მოკლე იყო, გაგრამ მრავალის  
მთემელი და ვინ იცის, ფრთხილი ბატონიშვილები სიჭ-  
ყვიერად კიდევ რას დააბარებდნენ ამ ჯორაშვილს, რო-  
მელიც ციციანოვმა ვერავითარის ხერხით ვერ გასტეხა.

თამარ, პაპავასი

(დასასრული შემდეგ რვეულში)

# ქართული საჭოვანებელი მემკვიდრეობის ცენტრული განარჩენის არგენტინაში

1950 წლის 29 ოქტომბერს, უილა ბალესტერ, სან მარტინ 244, შესდგა ქართველთა კრება, მოწვეული ვახსაკუთრებული კომისიის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს ბ-ნი ზურაბ ციციშვილი და რომელსაც; მიზნად აქვს თანხის შეგროვება ქართული საზოგადოებისათვის მიწოდა და ბინა - ეკლესის შესაძნად. კრება გახსნა ნაშუადღევის ოთხ საათზე ბ. ზურაბ ციციშვილმა და მას მოუწოდა თავჯდომარედ აერჩია პ. აკაკი პაპავა, რომელიც ერთხმად იქმნა არჩეული, მდივნად ბ. ვ. ემზადე.

ბ. აკაკი პაპავამ თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნა განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართველთ ერთად ყოფნისა და კულტურული მუშაობისათვის, რომელი მიზნისათვისაც ყოველი ძალა გამოყენებული უნდა იქმნას და ამიტომ ყოველგვარი დაგაუნდა მოისპოს. და ამასთანავე სამუდამოდ უნდა ამოიშალოს ჩენი ლექსიკონიდან ძეველი და ახალი ემიგრანტის გარჩევაო.

ბ. ლეო ჭერიშვილი თავჯდომარეს სთხოვს რიგს გარეშე მას განკხადების ნება მისცეს. ბ. ჭერიშვილი კრებას მოახსენებს იმ თანხის შესახებ. რომელიც მან შეაგროვა გენერალ სან-მარტინის ძეგლზე გვირგვინის დასადებად. თავჯდომარე ბ. ა. პაპავამ აღნიშნა გენერალ სან მარტინის დიდი მნიშვნელობა არგენტინის განმათავისუფლებელ ბრძოლაში. სან მარტინი არის, სთქვა მან, სიმბოლო ერთა განთავისუფლებისა და ამიტომ ქართველებისათვისაც დიდად საპატიო პიროვნება. მოწოდების თანახმად კრებამ ფეხზე ადგიომით პატივი სცა გენერალ სან მარტინის ხსოვნას. შემდეგ გამომუშავებული იქმნა კრების დღის წესრიგი — 1. კომისიის მოხსენება ფულის მოგროვებისა და მისი დაიშნულების შესახებ. შემდეგ კრების მსვლელობაში წარმოიქრა შემდეგი საკითხები — 1. საზოგადოების დაარსება და მისი წესდების განხილვა, 2. გამგეობის არჩევნები, 3. სარევიზო კომისიის არჩევნები.

განსაკუთრებული კომისიის თავჯდომარე ბ. ზურაბ ციციშვილი კრებას მოახსენებს, რომ საინიციატივო აჯუფი შეუდგა ფულის მოგროვებას იმ მიზნით, რომ ქართველებს ბუენოს აირესში თავისი საკუთარი კერა გაეჩინათ და ხსლა კრების საქმია. ამ ფულს თავისი დანიშნულება მისცე-

ს. ბ-ნი ბ. დიასამიძე კითხულობს შემომწირველთა სისა და აღნ. შეავს, რომ დღემდე შეგროვილია მხოლოდ შვიდიათას ჰესომდე, მაგრამ რიან კიდევ ხელისმომწერნი, რომელთაც ჯერ კიდევ თავისი ხელისმოწერა არ გაუნალდებიათ. კრებამ დაადგუნა ეთხოვოთ იმ პირთ, რომელთაც დაპირებული თანხა ჯერ არ შემოუტანიათ, დააჩარისონ მისი შემოტანა. მცირე შენიშვნათა შემდეგ კრებამ გადასწყიობა, დავვალოს იმავე კომისიას, რათა მან შეიძინოს მამული იმ მიზნით, რომ მასზე მომავალში ბინავეკლებია გაყინიოთ, ამიტომ უნდა გაგრძელდეს ფულის გროვება, რაც იმავ კომისიას დაევალა. კომისიას საერთოდ და ბ-ნ ზურაბ ციციშვილს კერძოდ მაღლობა გამოუკხადა ენერგიული მოღვაწეობისათვის.

ამას შემდეგ კრებაზე დაისყა საკითხი ქართული საზოგადოების ოფიციალურად დაარსების შესახებ. ერთხმად გადასწყდა დაარსებულიყო ქართული საზოგადოება. ბ. ვ. ნაზაძემ წაიკითხა მომავალი საზოგადოების წესდების პროექტი, რომელიც კრებამ ერთხმად დაადასტურა. მაგრა ნიკოლოზმა წარმოადგინა საკითხი, თუ როგორი ბეჭედი უნდა ექმნეს საზოგადოებას და ჩევულებისამებრ სერთოდ საზოგადოებამ რა სახელი უნდა ატაროს. გადასწყდა ერთხმად, საზოგადოებას დაერქვას შემდეგი სახელი: „არგენტინაში მყოფ ქართულთა საზოგადოება „წმიდა გიორგი“.“ რაც შეეხება საწევრი გადასახადს, მის რაოდენობად მიღებულია ოჯახიანი წევრებისათვის ხუთი პერსონა დანარჩენთათვის ათი პერსონა.

შემდეგ თავჯდომარე ბ. ა. პაპავამ წარმოადგინა საკითხი — აირჩის გამგება ამავე კრებაზე, თუ გადაიიღოს არჩევნები მომავალი კრებისთვის. კრებამ ერთხმად გადასყვიტა გარჩეობის დაუყონებლივ არჩევა. ამ დადგენილების ძალით მოხდა გამვეობისა და სარევიზო კომისიის არჩევნები. საზოგადოების თავჯდომარე არჩეულ იქმნა ბ. ვ. ნაზაძე (ერთხმად), გამგეობის წევრებად — ბ. დავით ლორობერიძე, ბ. გრიგოლ ბუაძე, ბ. მ. დიასამიძე და ბ. გაბო გოგელაშვილი. კრებამ ერთხმად აირჩია საზოგადოების საპატიო თავჯდომარედ ბ. ა. პაპავა. სარევიზო კომისიის არჩევნები.

— ბ. პოლიკარპე დეგებუაძე, ლალიმერ საკადე და გვივი გელაშვილი. თავჯდომარე ბ. ა. კაპავა პაპავამ არჩეულ იქმნებ შემდეგი პირნი — ბ. ბ. პოლიკარპე დეგებუაძე, ლალიმერ საკადე და გვივი გელაშვილი. თავჯდომარე ბ. ა. კაპავა პაპავამ არჩეულ გამგეობასა და სარევიზო კო-

მისიას უსურევა ერთსულოვანი და ნაყოფიერი მუშაობა, რაშიაც, ჩემის ლრმა რწმენით, არგენტინის ხელის უფლება სათანადო მფარველობას გაუწევს. შემდეგ წაკითხულ იქმნა მისალმების დეპეშები — აღმართ გრინა პრეზიდენტ ხუან პერონისადმი, მისი მეუღლისადმი და გუბერნატორ მერ კანტესადმი. კრება მხურგალე ტაშით შეხვდა ამ მისალმებას. დეპეშები შინაართ შემდეგია — ქართველები. ამგვიდრებულნი ამ ქვეყანაში და დღეს შექრებილნი, რათა შექმნან გამგეობა, რომელიც წარუდღევება ქართული საზოგადოების (სახელით „წმიდა გიორგი“) ბედილბალს, და აღფრთოვანებულნი პერონის ტული მიზნებით, მხესალმებიან მის აღმატებულების ნაციის პრეზიდენტ ენერგიული ხუან პერონს და მის ლირსეულ შეულლებს, ქალბატონ დონა მარია ევა და პერონს. ამგვარი დეპეშა გაეგზავნა ბუენოს - აირესის გუბერნატორ მერკანტესაც. მისალმების შემდეგ, საზოგადო კრება დაიხურა. კრებას დაესწრო ადვილობრივი წელისუფლების წერილი მიღებული მიღებულია დასადებად. ბ. ა. მერკანტე გიორგი და გერარდ ბერნარდინი მიიღო —

ბუენოს - აირესის გუბერნატორ მერკანტესაგან საზოგადო კრების თავჯდომარემ, ბ. ა. პაპავამ შემოეგი საბასუხო წერილი მიიღო —

Gobernador de BUENOS AIRES  
Coronel DOMINGO A. MERCANTE,  
saluda con toda consideración  
al señor Presidente de la Asamblea de  
la Asociación Georgiana "San Jorge"  
de Villa Ballester Doctor D. Akaki Pa-  
pava, y al acusar recibo de su despacho  
telegráfico de fecha 30 de Octubre  
próximo pasado, mucho le agredece y re-  
tribuye sinceramente los amables salu-  
dos que ha tenido la fina gentileza de  
hacerle llegar.

Con tal motivo, hace propicia  
esta circunstancia para reiterarle las  
seguridades de su mayor consideración.

Año del Libertador General San Martin  
La Plata, 3 de Noviembre de 1950.  
გასული წლის 25 დეკემბერს სა-  
ზოგადოების გამგეობამ ბუენოს -

აირესში მოაწყო: ქართველ ბავშუთათვის შობისხე. ბავშებმა იძღვეს და იციკვეს. მათ დაურიგდათ საშობაო საჩუქრები, რომელმაც ბავშები მეტად გაამხიარულა. შობისხის მომზადებისა და მორთვისათვის ღ. მ. წრე საზოგადოებამ ქალბატონ ინგა გელაშვილისას დიდი მადლობა გამოცხადა.

ამავე დღეს ბ. აკაკი პაპავაშ წაიკითხა მოკლე მოხსენება საქართველოს სამეფოს მოსახლეობის 150 წლის თავის აღსანიშნავად.

27 იანვარს 1951 წ. ბუენოს-აირესში გადახდილ იქმნა პანაშვიდა საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლის, ტიროლში გარდაცვალებულის, გერმანულ-ქართულ ჯარში მყოფ ფელდვებელის, ბენია სახელმწიფოს სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი გადაიხადა მამა ნიკოლოზ ზაბახიძემ. შემდეგ სამგლოვიარო სიტყვა წარმოსთვეა ბ. ვ. ნოზაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ბენია სახელმწიფოს ჩენენთვის არის სიმბოლო ყველა იმ ახალგაზრდობისა, რომელიც საქართველოს თავისუფლებას შეწირა. ამ თავდაცებული ბრძოლას დასახასიათებლად მან წაიკითხა წერილი, რომელც ერთ-ერთი ლაზარეთიდან ბატონ ბაგრატ ჭანტურიას ფრონტზე მიუღია, რომელშიც დამწერი, ნ. მჭედლიშვილი, მერმე თვითონ მში დალუბული, ნიკოლოზ შემონიერადის სიკვდილის შესახებ სწერს — „სიკვდილის წინ ოქვა: გაუმარჯოს საქართველოს, ვიბრძოლეთ სამშობლის განთავისუფლებისათვის, ბოლოს თქვა გაუმარჯოს საქართველოს და დალია სული. ჩემი ძმა და საყვარელი ნიკოლოზის სულის გასანათლებლად იმ ქეყყანაში, დაუთველივინონ აქ და ახსენეთ ის, რომელმაც შესწირა თავი სამშობლის და მიებარა უცხო მიწას, მიმართეთ ძეირფას მებრძოლ საყვარელ ნიკოლოზს! რომელიც უკვე აღარა გვყავს... აი. ამგვარ ახალგაზრდათა წრეს ეკუთხნოდა ბენია სახელაშვილიც, დიდად დაჯილდოებული მებრძოლი, რომელიც იმის შედეგად დაიღუბო, დასკვნა ბ. ვ. ნოზაძემ. დამსწრე საზოგადოებამ დალუბულთა სხვნას ფეხზე აღგომითა და მდგრადი პატივი სკა.

27 იანვარს, მამა ნიკოლოზმა გადაიხადა პარაკვანის წმიდა ნინოს დღეობისათვის, რის შემდეგ მან ქადაგება წარმოსთვეა წმიდა ნინოს მნიშვნელობის შესახებ ქართულ ეკლესიაში. ამას შემდეგ შესდგა საზოგადო სხვომა, რომელზეც ბ. პაპავაში წარმოსთვეა ქართული ეკ-

ლესის მნიშვნელობაზე ქართული კულტურის განვითარებაში. ბ. ვ. ნოზაძემ წაიკითხა მოხსენება ჯვარი ვაზისა შესახებ.

24 თებერვალს, ლიტოველთა კლუბში შესდგა ქართული თაზოვადების სხდომა. კრების გახსნისას ქართულმა გუნდმა ბ. ვ. ანდრიაძის ხელმძღვანელობით შეისრულა „დიდება“. ბ. ვ. ნოზაძემ წაიკითხა მოხსენება საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლათა შესახებ და დამოუკიდებელი საქართველოს უკანასკნელი ომზე. კრებამ ფეხზე აღგომით პატივი სკა თავისუფლებისათვის დალუბულთა სხვნას და გუნდმა შეასრულა მრავალუამიერ. შემდივ ბ. აკაკი პაპავაშ წაიკითხა მოხსენება საქართველოს სტეფან უკანასკნელი წლების შესახებ, ამ სამეფოს გაუქმების 150 წლის თავზე. ბ. ვ. ანდრიაძის ხელმძღვანელობით გუნდმა ზოგი ქართული სიმღერა შეასრულა.

ქართული საზოგადოების აღნიშნულ სხდომაზე წაიკითხულ იქმნა „ქართველ - ამერიკელთა ლიგის“ შემდეგი მიმართვა არგენტინის ქართული საზოგადოების გამგეობრისადმი — „პატივი გვაქვს მოგახსენოთ, რომ ნიუ-იორკში დაარსდა „ქართველ - ამერიკელთა ლიგა“. ისევე რომელკე ყოველი ქართული პოლიტიკური ანტი-კომუნისტური ორგანიზაცია, ლიგის მიზანია საქართველოს კანონისუფლება, მისი სრული დამოუკიდებლობის აღდეგნა. ყველასათვის ცხადია, რომ ვაშინგტონი დღეს წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკის უდიდეს ცენტრს. აქ იქნება მიღაბული გადაწყვეტილებანი, რომელმაც დამოუკიდებულია ერების მომავალი ბერლინი.

ჩენი ინტერესები უცილებლად მოითხოვენ ამ გადამწყვეტ მომენტში აქ ისმოდეს საქართველოს ხმა. სწორედ აქ მოსაზრებით დაარსდა ამერიკაში ზემოხსენებული ლიგა, არა პარტიული ორგანიზაცია, რომლის წევრად შეიძლება იყოს ყოველი ქართველი, რომელსაც სურს ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებისათვის.

„ლიგის უახლოესი მიზანია ამერიკაში ახალგადოებირივი აზრის მომზადება და კავშირის დამყარება ამერიკულ მთავრობასთან, რათა კამუქებულ და გაცნობილ იქნან ყველა საკითხები, რომლებიც საქართველოს ეხებიან.

„დარწმუნებული ვართ, ევროპაში მყოფი ქართული პოლიტიკურ აორგანიზაციები ღირსეულად დათვასე-

ბენ ამერიკაში ამგვარი ორგანიზაციის დაარსების მნიშვნელობას და გაგვინაწილებენ მრავალი წლების განვლობაში მიღებულ ცოდნა მოცდილებას.

„აგრეთვე ვფიქრობთ, რომ ის ფაქტი, რომ საქართველოს ჰყავს უცხოეთში იურიდიულად ცნობილი წარმომადგენლობა, გაგვიადვილების კავშირის დამყარებას ვაშინგტონის ოფიციალურ წრეებთან. შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა გვაძლევს იმედს, რომ ამიგრაციაში მყოფი ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები, მიუხედავად მათი პარტიული სხვადა სხვომბისა, ერთსულობისად და მეგობრულად შეაერთებენ თავიანთ ძალებს კველასთვის უძვირფასესი მიზანის მისაღწევად.

ქართველ - ამერიკელთა ლიგის დაგალებით —

თ. ბაგრატიონი გ. კობახიძე  
ლ. დუმბაძე ი. ორბელიანი  
პ. კვარაცხელია ლ. ჩხატარაშვილი.

კრება ამ განტალებას სიმოვნებით შეეგება. ბ-ნ გიორგი ნაკაშიძემ საზოგადოებას წინადადება მისკა ახლად დაარსებულ „ქართველ-ამერიკელთა ლიგას“ სათანადო მისასალებელი წერილი გაეგზონოს, რაც გამგეობას დაევალა.

## პართველი ეჯერისბა

დიდი ხანია, რაც ჩენი თანამემამულე ბ-ნი სანდრო ხებლო (ჩრდილოეთ ამერიკაში) მწერლობის დარგი მოღვაწეობს. დველადაც შემთხვევა გვქოთდა მისი ეს დაულალავი მოღვაწეობა აღგვენიშნა, და მომავალი ძალიან, იმდედაც, ეს კეთილი შემთხვევა არა ერთჯერ გვექნება. ჩვენ უკავარებთ შემოკლებით მის ერთ პატარა წერილს, რომელიც მას ამაწლის 26 თებერვალს, ლოს ანჯელეს ტაიმს-ში დაუბეჭდავს შემდეგი სათურით — ქართველი (კავკასიონის) ეჩერება:

„ლოს ანჯელესში შეიძლება შეხვდეთ ათეულ სხვა და სხვა ეროვნებას მსოფლიოს კავკასიონი აზრის მომზადება და ჩენი ქართველები (კავკასიონი) აღბათ ევროპის სამართლებულობების მიერ აღმდეგ და გაცნობილ იქნან ყველა საკითხები, რომლებიც საქართველოს განთავისუფლებისათვის.

ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ვცხოვთ ქალაქ ლოს ანჯელესში, რომელიც მოგვაგონებს ჩვენს სამშობლოს პარმის მიზანის მიხედვით (სხვა პირო-

ბები ყველა განადგურეს ბოლშე-  
ვიკებმა. ოთხმის ყოველ საღამოს  
ერთმანეთს ვხვდებით და ჩვენი პა-  
ტარა ჯაფი გულწრფელად მსჯე-  
ლობს კუდ საერთაშორისო ვითარე-  
ბაზე, და კერძოდ კორეაში ომის შე-  
სახებ.

ჩვენ, ქართველებმა უფრო მეტი  
ვიცით რუსეთისა და აზიის შესახებ  
და ხანდახან გასაკვირველია, თუ ჩვე-  
ნი დიპლომატები როგორ არ ბრძნე-  
ლად და არასათანადოთ მოქმედებენ.

როდესაც გველი არწივის ბუდეს  
აღმოაჩენს და მზადაა მისი ბარტყები  
შთანთქას, დედა-არწივი, რომელსაც  
არ ძალებს ამ ვეგებერთელა გველის  
ტანს ბრძოლა გაუმართოს, იმდენად  
მაინც მოხერხებულია, რომ თავისი  
ბასრი ნისკარტით დაუცხრება მის  
თავს და ამგვარად ჰქონდა მას.

რატომ არ შეგვიძლია ჩვენც ამნა-  
ირადვე მოვეცყრათ თავდამსხმელს,  
რომელიც ჩვენს დანგრევას ლამობს,  
რატომ არ შეგვიძლია? რატომ მაინც  
და მაინც მარტო მის კუდს ვურტ-  
ყამთ?

„ნეტა 25 წლით უფრო ახალგაზ-  
რდა ვყოფილიყავ, რათა წავსულიყავ  
და მებრძოლა ამ მშვენიერი ქვეყნი-  
სათვის ამერიკისა?“, ვუთხარი ერთ-  
ჯერ ჩემს თანამებამულე ქართვე-  
ლებს ერთი წვეულების დროს.

„დიახ, დიახ,“ მიპასუხა თვითეუ-  
ლმა, „ჩვენ ვიბრძოლებთ და თავს

### ქართული კონცერტი ბუენოსაირესში

1951 წლის 15 აპრილს, კვირას, ნაშუადლევის ექვს  
საათზე, ლიტოველთა კლუბში, ბოედო 737, გაიმართება  
პირველი ქართული კონცერტი, შემდეგი პროგრამით —  
ვ. ნოზაძე — ქართული მუსიკა (მოკლე ისტორია).  
ქალბატონი ლაგუ — არია ოპერიდან „აბესალომ  
და ეთერი“.

ბატონი ვლადიმერ ანდრიაძე — 1. არია ოპერიდან  
„ლალატი“. 2. არია ოპერიდან „დაისის“.

ქართული გუნდი ბ-ხ ანდრიაძის ხელმძღვანელო-  
ბით შეისრულებს — 1. სამშობლო, 2. სხვათა მოჯა-  
მაგირობას. 3. ცეკვა — ციალა ჯაფარიძის აული  
და ბ-ნი გიგი გელაშვილი.

ტრიო: ბბ. ვ. ანდრიაძე, გაბო გოგელაშვილი და  
კარლ კვანტალიანი — მშვენიერო, შენ გეტაფი...  
გუნდი — 1. სიყვრული არ იქნება ძალადა, 2.  
მო, მედგარნო მეგობარნო...

ცეკვა — კინტოური. შეასრულებს ბ-ნი პატარ-  
ლიშვილი.

გუნდი — სულიკა  
ივივე ტრიო — მხაროდ შენ ერთს...  
გუნდი — დილა სოფლად (პოპური).

შეესწირავთ ამ თავისუფალ ქვეყა-  
ნასთ“.

ვლადიმერ ბაბიშვილი იყო უახალ-  
გაზრდესი ჩვენ ჯგუფში; იგი მხო-  
ლოდ 28 წლისაა. ჩემს სიტყვაზე იგი  
წამოხტა და ალტაცებით შესძინა:

„ხვალ ჩავეწერები ჯარში და მთე-  
ლი ჩემი ძალონონ ვიბრძოლება!“. ჩვენ ყველაზ მას ტაში დავუკარით და  
ვუწოდეთ „კაპიტანი“, და ვუსურვეთ  
ბეჭინირება.

შემდეგ, როდესაც ჩვენ მარტო  
დავრჩით, მან მკითხა ჩემი აზრი, იგი  
ხმა რკა თუ ცხრა თვეა რაც ევრო-  
პირან აქ მოვიდა!

მე მას ვუთხარი, რომ მისი გადაწ-  
ყვეტოლება სწორია. „ჩემო ბიჭო“,  
ვუპასუხე, „შენა ხარ მშვენიერი, ჯან  
მ ვაელი, ახალგაზრდა, და დარწმუ-  
ნებული ვარ, კარგი მებრძოლი გახ-  
დები და ჯარსაც ასახელებ“.

მალე ბაბიშვილს გამოუძახეს ჯან-  
მრთელობის გასასინჯად და მე გა-  
ვყივ მას ფართო თიახში, სადაც  
ასეულნი ახალგაზრდანი პერინგს იძ-  
რობდნენ და გასასინჯად ემზადე-  
ბოდნენ.

ექისი ფუტი სიმაღლით, ჯანმრ-  
თელი, ლამაზი ქართველი გადის გა-  
მოცდას, და მე ვიგრძენი სიამაყე ჩე-  
მი თანამებამულესათვის.

იგი მეორე დღესათვის გაიწვიეს და  
იმავე ღამეს ჩემსას მას წვეულება მო-  
ვუწყვე. იყო სიმღერა და ცეკვა... გა-  
ღავიდა შუალამება; მე ავიღე სამიისი

ბაბიშვილი „მამული“-ს პირველი  
სათაური გაკითებულია მხატვარ  
სააგაძის მიერ, მეორე — მხატვარ  
ვარლამიშვილის მიერ.

კრებული „მამული“-ს გამომცემ-  
ლობა ულმეს მაღლობას მოახსე-  
ნება ქვემოდ ჩამოთვლილ პირთ, რო-  
მელთაც კეთილ ინებეს და სათანადო  
თანხის შემოწირვით შესაძლებელი  
გახადეს კრებულის გამოცემა.  
ბესო

რარასი შანავა 300  
არჩილ ხაჩიძე 200  
ლილ ჭეკიშვილი 200

ალ. პაპუაშვილი 150  
თერგიზ ქართველიშვილი 150  
ზურაბ (კიციშვილი) 100  
ა. ა. კი ბაბავა 100  
გ. ადიმერ გამრეკელი 50  
ჯინდო ჩომას 50  
მიხეილ დიასამიძე 50  
კრებული „მამული“-ს გამომცემ-  
ლობა სთხოვს ყველა ქართველ მა-  
მულიშვილს გაუწიონ მას დახმარება  
შემოწირულების სახით. უფლი უნდა  
გაღმიოგზებოს შემდეგი შისამარ-  
თოთ: —

Dr. Víctor Nasadse,  
„Mamuli“ Redaktorius.  
Buenos Aires, 12. 4. 51.

კრებული „მამული“-ს პირველი  
სათაური გაკითებულია მხატვარ  
სააგაძის მიერ, მეორე — მხატვარ  
ვარლამიშვილის მიერ.  
კრებული „მამული“-ს გამომცემ-  
ლობა ულმეს მაღლობას მოახსე-  
ნება ქვემოდ ჩამოთვლილ პირთ, რო-  
მელთაც კეთილ ინებეს და სათანადო  
თანხის შემოწირვით შესაძლებელი  
გახადეს კრებულის გამოცემა.

რარასი შანავა 300  
არჩილ ხაჩიძე 200  
ლილ ჭეკიშვილი 200  
ალ. პაპუაშვილი 150  
თერგიზ ქართველიშვილი 150  
ზურაბ (კიციშვილი) 100  
ა. ა. კი ბაბავა 100  
გ. ადიმერ გამრეკელი 50  
ჯინდო ჩომას 50  
მიხეილ დიასამიძე 50  
კრებული „მამული“-ს გამომცემ-  
ლობა სთხოვს ყველა ქართველ მა-  
მულიშვილს გაუწიონ მას დახმარება  
შემოწირულების სახით. უფლი უნდა  
გაღმიოგზებოს შემდეგი შისამარ-  
თოთ: —

Señor Miguel Diasamidze  
Salguero 309. — Buenos Aires.  
Argentina